სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

14 აგვისტო 2023 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 129

მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის N201/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, „2023 წლის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2023 წლის 2 ივნისის N87 ბრძანებით დამტკიცებული კონკურის პირობების მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" და „ჟ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N989370, 14.08.2023) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა არაუგვიანეს 2023 წლის 31 აგვისტოს 18:00 საათისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ:

ა) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

ბ) ინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში:

ბ.ა) წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო/სახაზინო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ.ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციებს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე.

გ) ფიზიკურ პირთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროექტისთვის:

მიზნობრივი საბანკო ანგარიშის (ლარის) რეკვიზიტები, რომელზეც განხორციელდება მხოლოდ პროექტთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციები და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი.

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2023 წლის 29 სექტემბრისა.
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ერეკლე ასტახიშვილი

დანართი

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2023 წლის 14 აგვისტოს N129 ბრძანებით

2023 წლის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის გამარჯვებულები (ინსტიტუციური პროექტების შემთხვევაში)

N	შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია
1	SPG-23-1618	საბუნებისმეტყველო მეცნიერების პოპულარიზაციის ღია კარის დღე ბოტანიკის ინსტიტუტში (ბოტანიკის ინსტიტუტის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით ღონისძიება)	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	SPG-23-1449	მეცნიერება აგრარული დარგის წარმატებული მომავალი.	იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3	SPG-23-715	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პოპულარიზაცია სკოლებში	სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი
4	SPG-23-527	ქიმია ჩვენს ირგვლივ	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5	SPG-23-383	ასტრო-ლაბი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
6	SPG-23-381	„კულტურის შემსწავლელი მეცნიერება ახალგაზრდებში“	გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
7	SPG-23-429	საერთაშორისო ტურნირი ქიმიაში „ოქროს საწმისი“	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
8	SPG-23-991	ასტრონომიის პოპულარული და პროფესიული ლექციები	საქართველოს კოსმოსური კვლევის სააგენტო
9	SPG-23-417	თანამედროვე ფიზიკის კონცეფციები კოსმოლოგიის მაგალითზე და ფიზიკის კონცეპტუალური სწავლება სკოლაში.	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
10	SPG-23-553	ქართული მწერლობა მსოფლიოს მასშტაბით	კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია
11	SPG-23-466	მედიცინა და ხელოვნება - ინტერდისციპლინური მიდგომა მეცნიერების პოპულარიზაციისთვის	პ.შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია

2023 წლის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის გამარჯვებულები (ჯგუფური პროექტების შემთხვევაში)

N	შიფრი	პროექტის სათაური
1	SPG-23-107	კვანტური კომპიუტერი ყველასთვის
2	SPG-23-557	STEM-ის ხელმისაწვდომობის გაზრდა რაიონულ ცენტრებს მოშორებულ სოფლებსა და დასახლებებში